საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1626 2016 წლის 4 აგვისტო ქ. თბილისი

„გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეგიონთაშორისი დანაშაულისა და მართლმსაჯულების კვლევით ინსტიტუტსა და სსიპ - გ. ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტს შორის გასაფორმებელი ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტის მოწონების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 ივლისის №675 განკარგულების საფუძველზე გაფორმებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით შეთანხმების თაობაზე

„აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულებებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გრანტებთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 მარტის №126 დადგენილების შესაბამისად, მოწონებულ იქნეს, „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეგიონთაშორისი დანაშაულისა და მართლმსაჯულების კვლევით ინსტიტუტსა და სსიპ - გ. ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტს შორის გასაფორმებელი ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტის მოწონების შესახებ“

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 ივლისის №675 განკარგულების საფუძველზე გაფორმებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით, შეთანხმების პროექტი.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი